სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/153

ქ. თბილისი 18 სექტემბერი 2025წ.

„2025/2026 სასწავლო წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-04/152 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი[1]“ ქვეპუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-4[1] პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის, გუგული ყურაშვილის 2025 წლის 18 სექტემბრის №1175653 სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 18 სექტემბრის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „2025/2026 სასწავლო წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვისათვის მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის N01-05-04/152 დადგენილებაში, დადგენილების პირველ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობას დაემატოს 7 ადგილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ა) ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი, 65 კრედიტი) – 17 ადგილი;“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**